

## კონკურსში მონაწილეობის პირობები

### მუხლი 1. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის ძირითადი პირობები

1. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობა შეუძლია პირს, რომელიც ერთდროულად აკმაყოფილებს შემდეგ ძირითად პირობებს, კერძოდ, აქვს:

- ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- ბ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;
- გ) განსაკუთრებული სამეცნიერო მიღწევები, კერძოდ, ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული მინიმუმ 10 სტატია რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში, მათ შორის მინიმუმ 5 სტატია მაღალი იმპაქტ-ფაქტორის (>2) სამეცნიერო ჟურნალებში, ვაკანსიის პროფილის შესაბამისად.

### მუხლი 2. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის დამატებითი პირობები

1. პირმა მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობისათვის, ასევე, უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი პირობები, კერძოდ, იცნობდეს:

- ა) სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის წესდებას;
- ბ) სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის შინაგანაწესს;
- გ) საქართველოს კანონს „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს“ (I-II, IV, VI და VII თავები).

**მუხლი 3. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის ძირითადი პირობები**

1. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობა შეუძლია პირს, რომელიც ერთდროულად აკმაყოფილებს შემდეგ ძირითად პირობებს, კერძოდ, აქვს:

- ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
- ბ) ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული მინიმუმ 7 სტატია ერთზე მეტი იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში, ვაკანსიის პროფილის შესაბამისად.

**მუხლი 4. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის დამატებითი პირობები**

1. პირმა უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობისათვის, ასევე, უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი პირობები, კერძოდ, იცნობდეს:

- ა) სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის წესდებას;
- ბ) სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის შინაგანაწესს.

**მუხლი 5. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის ძირითადი პირობები**

1. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობა შეუძლია პირს, რომელიც ერთდროულად აკმაყოფილებს შემდეგ ძირითად პირობებს, კერძოდ, აქვს:

ა) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს მინიმუმ 3 სტატია რეფერირებულ სამეცნიერო ჟურნალებში, ვაკანსიის პროფილის შესაბამისად.

**მუხლი 6. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის დამატებითი პირობები**

1. პირმა მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობისათვის, ასევე, უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი პირობები, კერძოდ, იცნობდეს:

ა) სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის წესდებას;

ბ) სსიპ - საქართველოს ევგენი ხარაძის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის შინაგანაწესს.